ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N სშ/13-110

ქ. ბათუმი 29 ივლისი 2013 წელი

ერთის მხრივ **შპს ,,სანდასუფთავება"** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ასამბაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს ,,ლეკო 2007"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის კობა ტარიელაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე–3 მუხლის, 1–ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის **სარეცხი და საპრიალებელი პროდუქტების (CPV39800000)** (შემდგომში–საქონელი) მიწოდება, დანართი #1–ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **678** (ექვსასსამოცდათვრამეტი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს დღგ–სა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი სააანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 3 დღის ვადაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1, საქონლის მიწოდების ვადაა არაუმეტეს **5** დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირია შპს ,,სანდასუფთავების" საწყობის გამგე.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და დროულობაზე.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მოწოდებული საქონლის ღირებულება.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შპს ,,სანდასუფთავების" სარემონტო საამქროს უფროსი.

7.2. ინსპექტირების მიზანია მოწოდებული საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. გამოყენებული სამართალი

11.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.

შემსყიდველი:
შპს ,,სანდასუფთავება"
მის: ქ. ბათუმი,
ჯავახიშვილის ქუჩა #55
ს/კოდი 245548153
სს ,,ლიბერთი ბანკი"
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა GE14LB0610005734020009

მიმწოდებელი:
შპს ,,ლეკო 2007"
მის: ქ. ბათუმი
ტაბიძის ქუჩა #6
ს/კოდი 245602334
სს ,,საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE34BG0000000212941000

შპს ,,სანდასუფთავება"
დირექტორი
დავით ასამბაძე

შპს ,,ლეკო 2007"
დირექტორი
კობა ტარიელაძე

დანართი #1

#	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	მთლიანი ფასი
1	*ტილო მაგიდის დიდი*	50	1,30	65
2	*ღრუბელი*	24	2,00	48
3	*აეროზოლი*	12	2,25	27
4	*გრანიტის და მეთლახის საწმენდი*	24	3,95	94,80
5	*ქლორი*	20	3,8	76
6	*ჟანგის და ნადების ამომყვანი*	16	4,25	68
7	*საპონი*	24	0,8	19,20
8	*შუშის საწმენდი ტილო*	20	2,30	46
9	*ხელსახოცი (სალფეთქი)*	16	2,30	36,8
10	*ტუალეტის ქაღალდი*	2	16,10	32,20
11	*მიკრო ფიბრა – იატაკის*	30	5,50	165
	სულ ჯამი			678

შპს ,,სანდასუფთავება“
დირექტორი
დავით ასამბაძე

შპს ,,ლეკო 2007“
დირექტორი
კობა ტარიელაძე